INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება

(ვალდებულება 2.1.)

(კონცეფცია)

მარტი, 2016 წ.

ზოგადი ნაწილი

2015 წლის 17 ივლისს საქართველოს პარლამენტის ბიურომ დაამტკიცა საქართველოს ინტერ-ფრაქციული ჯგუფის და სამოქალაქო საზოგადოების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016).

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა 18 ვალდებულებისგან შედგება და პასუხობს ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership, OGP) ოთხ ძირითად გამოწვევას: მოქალაქეთა ჩართულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ანგარიშვალდებულება, ტექნოლოგიები და ინოვაცია.

საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის (2.1.) ვალდებულება - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება პასუხობს OGP-ის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გამოწვევას.

ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით, საქართველოს პარლამენტმა აიღო ვალდებულება 2016 წლის სექტემბრამდე **შეიმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ინფორმაციაზე წვდომის გამარტივების კონცეფცია და შეადგინოს აღნიშნული კონცეფციის განხორციელებისათვის აუცილებელი ბიუჯეტი.**

(2.1.) ვალდებულების საბოლოო ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის სპეციალური ვებგვერდის ან პარლამენტის ვებგვერდის საშუალებით დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება. მიზნის განხორციელების პირველი ეტაპია ამგვარი პლატფორმის შესაქმნელად საჭირო კონცეფციის და ბიუჯეტის შემუშავება.

ღია მმართველობის პარტნიორობის წევრი ქვეყნების პრაქტიკა აჩვენებს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი შტოები ვებგვერდების მეშვეობით აწვდიან ინფორმაციას მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. მაგალითად, საბერძნეთის ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (2014-2016) ითვალისწინებს შშმ პირებისთვის სპეციალური ვებგვერდის საშუალებით დოკუმენტაციაზე წვდომის გაადვილებას. ასევე, ღია მმართველობის პარტნიორობის გზამკვლევის სარეკომენდაციო ვალდებულებაა ინფორმაციის გავრცელების მასშტაბის გაზრდის მიზნით მოწყვლადი ჯგუფების სამიზნე ჯგუფად გამოყოფა.

<u>აღწერილობა და საერთაშორისო პრაქტიკა</u>

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციის მიწოდება უნდა ატარებდეს სრულყოფილ, თუმცა ამავდროულად გასაგებ ხასიათს. აღნიშნული ფუნქცია ინტეგრირებული უნდა იყოს საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

ქვემოთ წარმოდგენილია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ინფორმაციის მიწოდების მაგალითები.

1) <u>სსიპ შემოსავლების სამსახური:</u>



www.rs.ge/m/default.aspx

შემოსავლების სამსახური | საპატიო მოხმარების ინსტრუქცია ცხელი ხაზი: 2 299 299 | ვერსია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის | A | A

ჩვენ შესახებ

სიახლე

სასარგებლო ინფორმაცია

კანონმდებლობა

ბიზნესი

კონტაქტი

შესაძლებელია დოკუმენტის განსხვავებულ ფონებში გადაყვანა, აღწერილობის ზომის შეცვლა და ტექსტის ხმოვანი გზით მიწოდება.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ ხმოვანი ტექსტის მეშვეობით მიიღონ ინფორმაცია სსიპ „შემოსავლების სამსახურთან“ დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ.



ხმოვანი ტექსტის ფუნქცია ვრცელდება შემოსავლების სამსახურის სიახლეებზეც.



www.rs.ge/m/Default.aspx?sec_id=6071&lang=1

შემოსავლების სამსახური | საიმის მოხსარების ინსტრუქცია ცხელი ხაზი: 2 299 299 | ვერსია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისათვის | A | A

შემოსავლების სამსახური

საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ყაზბეგი" ღეკვების უკანონო შემოყვანის მცდელობა გამოვლინდა
01-მარტი-2016
ხსვადასხვა ჯიშის ღეკვების კანონდარღვევით შემოყვანის ფაქტი გამოვლინდა 28 თებერვალს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე ყაზბეგი. პუნქტის კონტროლის ზონაში რუსეთის ფედერაციის მხრიდან შემოვიდა უკრაინის მოქალაქე ო.ე., რომელმაც დეკლარაციაში დააფიქსირა 15 ძაღლი. ეჭვის საფუძველზე ავტომობილის დეტალური დათვალიერებისას, მებაჟე ოფიცრებმა კიდევ 16 არადეკლარირებული ღეკვი, კერძოდ: ჩიხუახუას ჯიშის ერთი ღეკვი, ირიკვნირული ტერიერის ჯიშის 12 ღეკვი და მაღტეზას ჯიშის 3 ღეკვი აღმოაჩინეს. ღეკვების საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 12252,721 ლარი. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, უკრაინის მოქალაქეს სანქციის სახით განესაზღვრა ჯარიმა 12252,721 ლარის ოდენობით.
სსიპ შემოსავლების სამსახური

მებაჟე ოფიცრებმა იარაღის უკანონო შემოტანის მცდელობა აღკვეთეს
01-მარტი-2016
25 თებერვალს, საბაჟო გამშვები პუნქტის, კარნახის, ტერიტორიაზე თურქეთის მხრიდან შემოვიდა თურქეთის მოქალაქე ს.ს., რომელსაც ეჭვის საფუძველზე ხელბარგის დათვალიერების შედეგად, მებაჟე ოფიცრებმა არადეკლარირებული საქონელი - 1 ცალი ცეცხლსასროლი იარაღი, ერთი მჭიდი, 7 ცალი საბრძოლო ვაზნა და 1 ცალი იარაღის ნასაღები აღმოაჩინეს.
საქმე შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცა შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტს.
სსიპ შემოსავლების სამსახური

„ნითელ ხიზეზე" დიდი ოდენობით ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობების შემოტანის ფაქტი გამოვლინდა
01-მარტი-2016
შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ოპერატიული მოქმედებების შედეგად, საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟო საზღვრის კონტროლისგან მალულად, დიდი ოდენობით ოქროსა და ბრილიანტის ნაკეთობების შემოტანის ფაქტი გამოავლინეს.
კერძოდ, 25 თებერვალს, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ნითელი ხიდი" შემოვიდა აზერბაიჯანის მოქალაქე უ.ნ., რომელსაც, დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული საქონელი - 154,17 გრ. ოქროს ნაკეთობები და 122 ცალი ბრილიანტის თვალი - აღმოაჩინეს. საქონლის საბაჟო ღირებულებამ შეადგინა 18169,05 ლარი.
საქმე შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს.
სსიპ შემოსავლების სამსახური

2) შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე შესაძლებელია ხმოვანი ტექსტის მეშვეობით ინფორმაციის მიღება, თუმცა განსხვავებით შემოსავლების სამსახურისგან არ ხდება ტექსტის ზომის შეცვლა და განსხვავებული ფონებით წარმოდგენა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნილი აქვს ცალკე ვებგვერდი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. უმჯობესია აღნიშნული ფუნქციის ინტეგრაცია ერთ ვებგვერდზე.



შემოსავლების სამსახურის ვებგვერდისგან განსხვავებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდს აქვს მოხმარების ინსტრუქცია.



შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-პორტალის პოლის.ჯი-ს სპეციალური ხმოვანი ვერსიის მოხმარების ზოგადი წესები

მინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ხმოვან ვებ-პორტალზე ორიენტაციისთვის შესაძლებელია როგორც კლავიატურის, ასევე მაუსის გამოყენება. ამასთან, ვებ-გვერდებზე მოძრაობა რეკომენდირებულია მირითადად კლავიატურის გამოყენებით. სხვადასხვა ელემენტზე გადასასვლელად გამოიყენეთ ტაბულაციის (იგივე "ტაბ") ღილაკი.

"ტაბ" ღილაკზე დაჭერისას მოინიშნება გვერდზე არსებული ტექსტი და სისტემა ავტომატურად მოამზადებს მონიშნული ტექსტის აუდიო ვერსიას, რომელსაც მოისმენთ თქვენს აუდიო მოწყობილობაში.

თითოეულ ახალ გვერდზე გადასვლისას, "ტაბ"-ით ჯერ ეკავლით ზედა და მთავარ მენიუს, შემდეგ კი გადახვალთ უშუალოდ გვერდზე არსებულ ინფორმაციაზე. იმისთვის, რომ მირითადი მენიუდან გადახვიდეთ ქვემენიუზე, საკმარისია იმყოფებოდეთ მენიუს რომელიმე ელემენტზე.

კლავიატურის ღილაკზე „ქვემოთ" (ქვედა ისარი) დაჭერით იმლება დამატებითი ქვემენიუ. ქვემენიუში "ტაბ"-ით ისევე გადახვალთ შემდეგომ ელემენტზე , როგორც დანარჩენ ვებ-პორტალზე.

თითოეული ქვემენიუს დამთავრებისასა, იგი ავტომატურად დაიხურება და მოინიშნება მენიუს შემდეგი ელემენტი. აქაც, სურვილის მიხედვით, შეგიძლიათ ჩამოშალოთ ან აკეცოთ მენიუს ელემენტის შესაბამისი ქვემენიუ. ქვემენიუს აკეცვა შესაძლებელია ღილაკზე „ზემოთ" (ზედა ისარი) დაჭერით.

იმის გამო, რომ ტაბულაციის ღილაკს აქვს მხოლოდ მარცხნიდან მარჯვნივ და ზემოდან ქვემოთ მიმართულების ფუნქცია, ერთი და იგივე გვერდზე ინფორმაციის ხელახლა წასაკითხად გამოიყენეთ გვერდის განახლების (იგივე რეფრეშ ღილაკი) "ეფ 5", რომელზე დაჭერის შემდეგ გადახვალთ გვერდის საწყის ზედა მენიუს პოზიციაზე.

აღსანიშნავია, რომ გარდა ამ დამატებითი ფუნქციებისა, ვებ-პორტალზე შეგიძლიათ გამოიყენოთ ბრაუზერის მიერ მხარდაჭერილი ისეთი სტანდარტული ღილაკები, როგორიცაა დადასტურების ღილაკი "ენთერი" და წინა გვერდზე დაბრუნების ღილაკი "ბექსფეისი". ჩვენს შემთხვევაში, დადასტურების ღილაკი მირითადად გამოიყენება ნავიგაციისთვის. მონიშნული მენიუს ელემენტზე "ენთერ" ღილაკზე დაჭერით გადახვალთ ამ ელემენტის შესაბამის გვერდზე. ხოლო „ბექსფეისის" ღილაკის გამოყენებით შეძლებთ წინა გვერდზე დაბრუნებას.

3) <u>ჰოლანდიის პარლამენტის ვებგვერდზე</u> შესაძლებელია ტექსტის ხმოვანი სახით წაკითხვა, სიტყვების გამოყოფა და სხვა ფუნქციების განხორციელება.

ჰოლანდიის პარლამენტის ვებგვერდი იძლევა შესაძლებლობას შეიცვალოს და გამოიყოს ტექსტის ფერები და სიტყვები.



[1]

[1] http://www.houseofrepresentatives.nl/services-public/rules-procedure.

ჰოლანდიის პარლამენტის ვებგვერდი



4) შვედეთის პარლამენტის ვებგვერდი მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებზე და მასზე ღია ფორმატით არის განთავსებული საკანონმდებლო აქტები.

ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო აქტების წაკითხვა შესაძლებელია ხმოვანი ტექსტით.



ვებ პორტალის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის

1) W3 (Accessibility) Standards (https://www.w3.org/WAI/).

Content Formats
ვებგვერდის მასალის ფორმატი
(რა ფორმატით უნდა იყოს წარმოდგენილი ვებგვერდზე ინფორმაცია შშმ პირებისთვის)

Standout Notifications (შეტყობინების ფუნქცია) - მოთხოვნის შემთხვევაში, პორტალზე უნდა არსებობდეს ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაციის შეტყობინების ფუნქცია, მაგალითად, ხმოვანი სიგნალის, ტექსტური შეტყობინების, დიალოგური ფანჯრის და სხვა სახით (alert, blinking, dialogues).

ანოტაცია (სუბტიტრები) - ნებისმიერი სახის ვიდეო ფაილს (სხდომა, მოხსენება, ჩანაწერი) უნდა ერთოდეს სუბტიტრები, რომელიც იქნება ვიდეოს მიმდინარეობის სინქრონული.

Text-to-Speech (ტექსტის გახმოვანება) - ვებ პორტალს უნდა შეეძლოს ტექსტის წარმოთქმა. თუ ადამიანს აქვს ცუდი მხედველობა და ეღლება თვალი ან უჭირს კითხვა (მათ შორის დიდი ზომის ტექსტის შემთხვევაშიც), პორტალს უნდა ჰქონდეს მონიშნული ტექსტის წაკითხვის ფუნქცია.

Transcripts (ტექსტური ვერსია) - ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაციას (ვიდეო, ტექსტი, აუდიო) თანდართული უნდა ჰქონდეს ტექსტური ვერსია, რომ მომხმარებელს შეეძლოს ტექსტის ამობეჭდვა და წაკითხვა.

Voice Browsing (ხმოვანი ბრძანების აღქმის საშუალება) - ვებგვერდს უნდა ჰქონდეს ხმოვანი ბრძანებების აღქმის საშულება. თუ მომხმარებელს უჭირს ბეჭდვა და თაგვის (მაუსი) გამოყენება, მას უნდა შეეძლოს ხმოვანი ბრძანებით მისცეს ვებგვერდს სასურველი დირექტივა.

Presentation Layer
(ინფორმაციის ვებგვერდზე გამოტანის მექანიზმები)

Customized font-sizes and colors (სიმბოლოების ზომებისა და ფერების შეცვლის შესაძლებლობა) - პორტალს უნდა ჰქონდეს მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებზე მორგებული ფორმატი, ტექსტის ზომისა და ფერთა გამის ცვლილების.

Document outlines (ძირითადი არსის ამოღება) - პორტალს უნდა ჰქონდეს ფუნქცია, რომლის საშუალებითაც ვებგვერდზე წარმოდგენილი მასალიდან მომხმარებელი დაინახავს მხოლოდ ძირითად ინფორმაციას (ე.წ. ჰედლაინებს) (მაგალითად, თუ არის რამდენიმე გვერდიანი

ტექსტი, მომხმარებელს უნდა შეეძლოს საკვანძო სათაურების ამოკითხვა, რომ გაიგოს ტექსტის მთავარი აზრი).

Reduce Interface (ინტერფეისის გამარტივება) - პორტალს უნდა ჰქონდეს დიზაინის გამარტივების ფუნქცია, რომელიც მომხმარებლისთვის დატოვებს მხოლოდ საჭირო ინფორმაციას და გვერდიდან გააქრობს ყველა დამატებით გრაფიკას (რეკლამა, ბანერი, ანიმაცია და ა.შ.).

Screen magnification (პორტალის გადიდება/დაპატარავება) - პორტალს უნდა ჰქონდეს გამადიდებლის ფუნქცია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება მთელი პორტალის გადიდება და დაპატარავება.

Symbols (სიმბოლიკის გამოყენება) - პორტალი ტექსტის ნაცვლად შეიძლება იყენებდეს სიმბოლიკას.

User Interaction [Type, Write, Click]
(მომხმარებლის ვებგვერდთან ინტერაქცია)

Voice to Type (საუბრის აკრეფა) - როდესაც მომხმარებელი საუბრობს, მაგრამ არ შეუძლია კლავიატურის გამოყენება, მისთვის პორტალმა უნდა შეძლოს ტექსტის აკრეფა.

Voice Recognition for Hands-free Interaction - პორტალს უნდა შეეძლოს ძირითადი ხმოვანი ბრძანებების აღქმა და ფუნქციების შესრულება.

Keyboard Interaction (პორტალთან დაკავშირება მხოლოდ კლავიატურის ღილაკების გამოყენებით (ე. წ. Hot Keys)) - ზოგ ადამიანს არ შეუძლია თაგვის (მაუსი) გამოყენება, მაგრამ იყენებს კლავიატურას. პორტალს უნდა ჰქონდეს გადამრთველი, რომლითაც იგი დაიწყებს ბრძანებების კლავიატურიდან მიღებას.

2) BBC-ს ვებ-პორტალის სტანდარტი შშმ პირთათვის http://www.bbc.co.uk/accessibility/.

BBC შშმ პირებს 6 კატეგორიად ჰყოფს და ამ კატეგორიების შესაბამისად განსაზღვრავს ვებ-პორტალის ფუნქციებს:

- <u>შეზღუდული მხედველობის კატეგორია:</u>
    - ტექსტისა და ფონის ფერთა ცვლილების ფუნქცია;
    - ფონტის ცვლილების ფუნქცია;
    - პორტალის გადიდების ფუნქცია;
    - თაგვის (მაუსის) კურსორის ჩანაცვლება უფრო დიდი კურსორით;
    - Text to Speak - პორტალს უნდა შეეძლოს ტექსტის გახმოვანება;
    - ფონტის გადიდება/შემცირების ფუნქცია.
- <u>უსინათლოთა კატეგორია:</u>

- Text to Speak - პორტალს უნდა შეეძლოს ტექსტის გახმოვანება.

- <u>შეზღუდული სმენადობის კატეგორია:</u>
  - ყველა სახის მასალას უნდა ჰქონდეს სუბტიტრები.
- <u>სიტყვათა გარკვევის პრობლემის კატეგორია (I find words difficult):</u>
  - ფონტის ცვლილების ფუნქცია;
  - პორტალს უნდა შეეძლოს შეტანილი ტექსტის მართლწერისა და გრამატიკის შემოწმება.
- <u>შშმ პირები, რომელთაც უჭირთ თაგვისა (მაუსი) და კლავიატურის გამოყენება:</u>
  - ხმოვანი ბრძანებების აღქმა;
  - საუბრის ტექსტად კონვერტირება და დაწერა (Speech to Text).

<u>IDFI-ს რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საპარლამენტო ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით</u>

1. საპარლამენტო ინფორმაციის მიწოდება (როგორც სტანდარტული, ისე შშმპ ვერსიის) ერთი ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით;

2. ვებგვერდის გამოყენების ინსტრუქციის დაწერა;

3. ტექსტის წარმოდგენა ხმოვანი ვერსიის მეშვეობით;

4. ტექსტის უკეთ აღქმის მიზნით ფონტის ზომისა და ტექსტის ფონის შეცვლის შესაძლებლობა;

5. პორტალს უნდა ჰქონდეს მხედველობის პრობლემის მქონე ადამიანებზე მორგებული ფორმატი ფერთა გამის ცვლილების სახით;

6. პორტალის მეშვეობით შესაძლებელი უნდა იყოს არა მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის, არამედ ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდება, მათ შორის სიახლეებთან და კანონმდებლობასთან დაკავშირებით;

7. ნებისმიერი სახის ვიდეო ფაილს (სხდომა, მოხსენება, ჩანაწერი) უნდა ერთოდეს სუბტიტრები, რომელიც იქნება ვიდეოს მიმდინარეობის სინქრონული;

8. პორტალს უნდა ჰქონდეს ფუნქცია, რომლის საშუალებითაც ვებგვერდზე წარმოდგენილი მასალიდან, მომხმარებელი დაინახავს მხოლოდ ძირითად ინფორმაციას (ე.წ. ჰედლაინებს) (მაგალითად, თუ არის რამდენიმე გვერდიანი ტექსტი, მომხმარებელს უნდა შეეძლოს საკვანძო სათაურების ამოკითხვა, რომ გაიგოს ტექსტის მთავარი აზრი);

9. პორტალს უნდა ჰქონდეს დიზაინის მინიმიზირების ფუნქცია (ინტერფეისის გამარტივება), რომელიც მომხმარებლისთვის დატოვებს მხოლოდ საჭირო ინფორმაციას და გვერდიდან გააქრობს ყველა დამატებით გრაფიკას (რეკლამა, ბანერი, ანიმაცია და ა.შ);

10. პორტალს უნდა ჰქონდეს გადამრთველი, რომლითაც პორტალი დაიწყებს ბრძანებების, თაგვის (მაუსი) ნაცვლად, კლავიატურიდან მიღებას (პორტალთან ინტერაქცია მხოლოდ კლავიატურის ღილაკების გამოყენებით (ე. წ. Hot Keys)).